1. ქ.თბილისის მერს

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

3. ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს

ქ. თბილისი დაბა წყნეთი სოხუმის ქ. N13 –ში მცხოვრები

აპალონ დანელიას პ/ნ N62001004668

ტელ.: 577 44 44 64

განცხადება

მოგახსენებთ რომ 2014 წლის 28 მაისს ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტომ ქ.თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის #14.60.678 დადგენილების საფუძველზე აუქციონის ფორმით პრივატიზების მიზნით #261-ე აუქციონზე #13 ლოტად გასაყოდად გამოიტანა ქ.თბილისში შეშელიძის ქუჩაზე ხიდების მიმდებარედ არსებული 358 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.11.04.026.069 და შეზღუდვად დაფიქსირდა "მიწის ნაკვეთის სამშენობლოდ განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად" ხოლო ვალდებულებად საპრივატიზებო თანხის 2 წლის ვადაში გადახდა.

აუქციონის გამოცხადებიდან მეორე დღესვე - 2014 წლის 29 მაისს თბილისის არქიტექტურის სამსახურის წინაშე # AR1224118 განაცხადით დაისვა მოთხოვნა ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემის თაობაზე და 2014 წლის 05 ივნისს არქიტექტურის სამსახურმა გამოსცა #1309830 გადაწყვეტილება სადაც სხვა საკითხებთან ერთად მკაფიოდ მითითებულია, რომ "მოცემული ტერიტორიის მიმდებარედ ქ.თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამუშავებლად გაიცა #2924 (2007.07.11) ქალაქთმმშენებლობის პირობები, რომლის საფუძველზეც ამავე სამსახურის მიერ #01/194 (05.03.2008) ბრძანებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი განვითარდეს ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმასთან ერთა. რისთვისაც საჭიროა განაშენიანების რეგულირების გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა".

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მე 2014 წლის 13 ივნისს გამართულ აუქციონზე ერთი კვ.მ. 100 ლარად გასაყიდად გამოტანილ მიწის ნაკვეთში შევთავაზე 425 ლარი (ცნობისათვის: 358 კვ.მ. შევიძინე 152150 ლარად, იმ დღეს არსებული ვალუტის კურსით 1 აშშ დოლარი იყო 1.77 ლარი ესე იგი ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში გადავიხადე 240 აშშ დოლარი) და გავიმარჯვე. ქ.თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ 2014 წლის 13 ივნისს გამოსცა № E-261-13-11469 ოქმი აუქციონში გამარჯვებული პირისათვის ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ სადაც შეზღუდვად დაფიქსირდა: "სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად". ამ დროისათვის მე აუქციონზე გამოტანილი მიწის ნაკვეთის შესაძენად გადახდილი მქონდა ბე-7160 ლარი და სანამ გადავიხდიდი დანარჩენ თანხას თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2014 წლის 26 ივნისს #AR1232395 განაცხადით გადავამოწმე ადმინისტრაციული დაპირების ფაქტი და მოვითხოვე

ეძენილ მიწის ნაკვეთზე ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემა. არქიტექტურის სამსახურმა 2014 წლის 3 ივლისს მიიღო #1364206 გადაწყვეტილება და მაცნობა რომ არქიტექტურის სამსახურს #AR1224118 განცხადების საფუძველზე უკვე ნამსჯელი ქონდა აღნიშნულ საკითხზე და #1309830 გადაწყვეტილებით გაცემული იყო ქალაქგეგმარებითი დასკვნა და მიმითითა მეხელმძღვანელა აღნიშნული დასკვნით.

შეძენილი ქონების სრულად და დროულად გადახდის შემდეგ აღნიშნული შეზღუდვა - ადმინისტრაციული დაპირება ასევე დაფიქსირდა 2016 წლის 14 ივნისს ქ.თბილისის ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემულ #3393 საკუთრების დამადასტურებელ მოწმობაში და ჩემს საკუთრებაში გადმოსული #01.14.04.026.069 მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრის ამონაწერის ვალდებულების გრაფაში.

2008 წლის 5 მარტის #01/194 ბრძანებით, შემდგომ კი 31.10.13წ. №971278 ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. ზონალური საბჭოს 2017 წლის 2 თებერვლის #5 ოქმითა და #3068907 გადაწყვეტილებით უარყოფილია AR1466402 განაცხადი მიწის ნაკვეთის ფართობის (2695 კვ. მეტრით) გაზრდის გამო (ცნობისათვის: აღნიშნული მიწის ნაკვეთი -2695 კვ.მ ს.კ.01.11.04.026.095 სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაიყიდა 2015 წლის 10 მარტს. ანუ ჩემს მიერ მუნიციპალიტეტისგან მიწის ნაკვეთის შეძენის 9 თვის შემდგომ) გრგ-ში კორექტირების შეტანის თაობაზე (საბჭოს ვესწრებოდი და დეტალურად განვმარტე ჩემი პოზიცია განსახილველად წარმოდგენილ გრგ-ში ჩემი მიწის ნაკვეთის გაუთვალისწინებლობის სამართლებრივ და საჯარო ინტერესებთან შეუსაბამობის შესახებ). ამ ეტაპზე არქიტექტურის სამსახურში 2017 წლის 25 თებერვალს კვლავ დაყენებულია მოთხოვნა AR1481810 განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების თაობაზე, სადაც ასევე არაა გათვალისწინებული ჩემს საკუთრებაში არსებული 358 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განვითარების შესაძლებლობა.

ამდენად ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და იმის მხედველობაში მიღებით, რომ მსურს ადმინისტრაციული დაპირებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება და ჩემი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება რეგულირების გეგმის შესაბამისად გთხოვთ, შეისწავლოთ საკითხი და დაინტერესებულ მხარეებს განგვიმარტოთ რა სამართლებრივი საფუძვლებით უნდა მოხდეს ჩვენი ინტერესების შეჯერება იმ შემთხვევაშიც კი, თუ AR1481810 განცხადებაში დაფიქსირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები უარს განაცხადებენ ჩემი მიწის ნაკვეთის (01.11.04.026.069) ზემოაღნიშნულ გრგ-ში გათვალისიწნებაზე. აქვე გთხოვთ მაცნობოთ კონკრეტულ შემთხვევაში ჩემზე გაცემული ზემოაღნიშნული ადმინასტრაციული დაპირებისა და ქ.თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის #14.60.678 დადგენილების გათვალისწინებით შესაძლებელია თუ არა ახალი ან/და კორექტირებული განცხადების დადებითად გადაწყვეტა ჩემი მიწის ნაკვეთის გაუთვალისწინებლად ან მე თავად შემიძლია თუ არა მათი თანხმობის გარეშე მხოლოდ ადმინისტრაციული დაპირებისა და ქ.თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის #14.60.678 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებულ გრგ-ში კორექტირების შეტანა.

აქვე გთხოვთ დასმულ კითხვებზე მიპასუხოთ სრულყოფილად მოქმედი კანონმდებლობისა და სახელმძღვანელო ნორმატიული აქტების მითითებით.

აქვე მოგახსენებთ ჩემ მოკგრძალებულ აზრს ამ თემაზე.

ჩემს საკუთრებაში არსებული 358 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე რომც არ იყოს გაცემული ადმინისტრაციული დაპირება იგი ზონალური საბჭოს ინიციატივითაც უნდა იყოს

ათვალისწინებული გრგ-ში რადგან დედაქალაქის და თბილისელების საჯარო ინტერესს ნამდვილად არ წარმოადგენს ცენტრალური გზის პირას განაშენიანებისათვის შეუსაბამო და დაჭაობებული ადგილის არსებობა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საზრვრებიდან 2000 მეტრის მანზილზე რაც ჩვენი მთავრობის მიერ აღიარებულ სპეციალური რეგულირების ზონასაც წარმოადგენს.

გთხოვთ დამასწროთ საკითხის განხილვას.

ა.დანელია

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.04.026.069

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016381337 - 17/06/2016 15:41:38

მომზადების თარიღი
22/06/2016 10:05:11

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	11	04	026/069

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , ხიდის მიმდებარედ , ნაკვეთი 26/ 069

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 358.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 26;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016381337 , თარიღი 17/06/2016 15:41:38
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/06/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N3393 , დამოწმების თარიღი:14/06/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) NE-261-13-11469 , დამოწმების თარიღი:13/06/2014 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრეები:
აპალონ დანელია ,P/N: 62001004668

მესაკუთრე: აპალონ დანელია

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016381337 თარიღი 17/06/2016 15:41:38	გამყიდველი: ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული მყიდველი: აპალონ დანელია P/N: 62001004668; საგანი:მიწის ნაკვეთი ფართით 358 კვ.მ.; (შეზღუდვა: სამშენებლო განვითარების განხორციელება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად);
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/06/2016	აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) NE-261-13-11469 , დამოწმების თარიღი:13/06/2014 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N3393 , დამოწმების თარიღი:14/06/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო ,

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:*

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აკრედიტებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება)

E-mail: infoauction@tbilisi.gov.ge
Tel: (+995 32) 2 378 127

13.06.2014 № E-261-13-11469 ქ.თბილისი

აუქციონში გამარჯვებული პირის/ოქმის ადმინისტრაციული დაპირების მიმღები პირის მონაცემები:

სახელი, გვარი: აპალონ დანელია მისამართი: ქ.სოხუმი ჯგუბურიას ქ.80

პირადი ნომერი: 62001004668 მინდობილი პირი:

აუქციონზე შეძენილი ქონების მონაცემები:

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 011104026069

უძრავი ქონების ფართი კვ.მ.: 358

მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევი, ქუჩა შეშელიძე, ხიდის მიმდებარედ ნაკვეთი 26/069

ქონების აღწერა:

ჩატარებული აუქციონის მონაცემები:

აუქციონის ჩატარების თარიღი: 13.06.2014

აუქციონის № 261 ლოტის № 13

ჩატარებული აუქციონის შესახებ ინფორმაცია:

ქონების საწყისი ფასი (1 კვ.მ): 100.00 ლარი

გაყიდული ქონების სრული საბოლოო ღირებულება: 152150.00 ლარი

აუქციონის ფორმა: აუქციონი პირობებით

აუქციონში გამარჯვებულის მიერ შემოთავაზებული ფასი (1 კვ.მ) 425.00 ლარი

აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური: 250.00 ლარი

ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობები:

შეზღუდვა: სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვალდებულება: საპრივატიზებო თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან 2 წლის ვადაში.

აუქციონში გამარჯვებული პირის განცხადება:

ვაცხადებ, რომ მონაწილეობა მივიღე "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ქ.თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ მოწყობილ წინამდებარე აუქციონზე. აუქციონის შესახებ ინფორმაცია და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) პირობები ვიხილე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე www.iauction.ge და სრულად ვეთანხმები მას.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

ნომერი: 3393 თარიღი: 14/06/2016 წ.

ეძლევა აპაღონ დანელია 62001004668
(მესაკუთრე და მისი მისამართი)

მასზედ რომ მას გადაეცა საკუთრებაში ქუჩა შეშელიძე, ხიდის მიმდებარედ ნაკვეთი 26/069 ; (შესყიდვა: სამშენებლო განვითარების განსორციელება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად)
(ქონების დასახელება და მისამართი)

358.00 კვ/მ
(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

01.11.04.026.069
(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი ოქმი და ხელშეკრულების N: ე-261-13-11469

ოქმის და ხელშეკრულების შედგენის თარიღი 13/06/2014

ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის ვებ გვერდის მეშვეობით. ელექტრონულ საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობას აქვს იურიდიული ძალა აუქციონატორის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე. ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ვებ გვერდზე: www.iauction.ge / www.auction.tbilisi.gov.ge

შეძენილია რისკის გარეშე

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 14.60.678

"23" მაისი 2014 წ.

ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში
არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააუქციონოდ მომზადებულია გარკვეული საპრივატიზებო ქონება, რომელთა საწყისი ფასები დადგენილია აუდიტორული დასკვნის გათვალისწინებით.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23^1 და 28-ე მუხლების, ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.10წ. №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესისა და ქ.თბილისის მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №03.30.99 დადგენილების მე-7^3 პუნქტის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. განხორციელდეს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, დანართი 1-ით და დანართი 2-ით წარმოდგენილი ქონების პრივატიზება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. დამტკიცდეს საპრივატიზებო ქონების საწყისი სააუქციონო ფასი, მინიმალური ბიჯი და სააუქციონო პირობები, დანართების: 1-ის და 2-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს ზოგადი სააუქციონო პირობები დანართი 1-ით დანართი და დანართი 2-ით გათვალისწინებული ქონების მიმართ, დანართი 4-ის შესაბამისად.

4. განხორციელდეს დანართი 3-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით განკარგვა, ელექტრონული აუქციონის წესით.

5. დამტკიცდეს დანართი 3-ით გათვალისწინებული ქონების მიმართ საპრივატიზებო ქონების საწყისი სააუქციონო ფასი, მინიმალური ბიჯი და სააუქციონო პირობები, დანართი 3-ის შესაბამისად.

6. დეტალური ინფორმაცია აუქციონის შესახებ განთავსდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ვებ-გვერდზე (auction.tbilisi.gov.ge).

7. დაევალოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს: ამ დადგენილების შესაბამისად, როგორც აუქციონატორმა, განახორციელოს ელექტრონული აუქციონის პროცედურები.

8. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს პაპუნა პეტრიაშვილს.

9. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქ. თბილისის მერის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილი

ლოტი 11

მიწის ნაკვეთის მისამართი ქუჩა შეშელიძე, ნაკვეთი 21/100 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.11.12.021.100) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ-2)

გაცემის ფორმა _ აუქციონი პირობებით

განკარგული უფლება _ საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი _ 200 კვმ

საწყისი ფასი: 1 კვ.მ – 95 ლარი.

მინიმალური ბიჯი 1კვ.მ. მიწის ნაკვეთზე _ 5 ლარი.

აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე/საბანკო გარანტია" განისაზღვროს 3800 ლარით.

ვალდებულება: საპრივატიზებო თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან 2 წლის ვადაში.

ლოტი 12

მიწის ნაკვეთის მისამართი დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.72.14.009.332) საცხოვრებელი ზონა (სზ)

გაცემის ფორმა _ აუქციონი პირობებით

განკარგული უფლება _ საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი _ 69444 კვმ

საწყისი ფასი: 1 კვ.მ – 26 ლარი.

მინიმალური ბიჯი 1კვ.მ. მიწის ნაკვეთზე _ 5 ლარი.

აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე/საბანკო გარანტია" განისაზღვროს 200 000 ლარით.

შეზღუდვა: სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ვალდებულება:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან 2 წლის ვადაში.

ბ) საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის შემძენი ფიზიკურ ან იურიდიული პირს საკუთრებაში აღნიშნული მიწის ნაკვეთი დაურეგისტრირდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება N625 20.07.06წ. მე-2 პუნქტში მითითებული სანაცვლო მიწის ათვისების თანხების ანაზღაურების შემდეგ. უფლების რეგისტრაციის განაცხადის N72200608625 თარიღი: 31.07.2006;

ლოტი 13

მიწის ნაკვეთის მისამართი ქუჩა შეშელიძე, ხიდის მიმდებარედ ნაკვეთი 26/069 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.11.04.026.069) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ-2)

გაცემის ფორმა _ აუქციონი პირობებით

განკარგული უფლება _ საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი _ 358 კვმ

საწყისი ფასი: 1 კვ.მ – 100 ლარი.

მინიმალური ბიჯი 1კვ.მ. მიწის ნაკვეთზე _ 5 ლარი.

აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე/საბანკო გარანტია“ განისაზღვროს 7160 ლარით.

შეზღუდვა: სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ვალდებულება: საპრივატიზებო თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან 2 წლის ვადაში.

ლოტი 14

მიწის ნაკვეთის მისამართი ონკოლოგიური ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.16.015.244) სარეკრეაციო ზონა (რზ-2)

გაცემის ფორმა _ აუქციონი პირობებით

განკარგული უფლება _ საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი _ 694კვმ

საწყისი ფასი: 1 კვ.მ – 123 ლარი.

მინიმალური ბიჯი 1კვ.მ. მიწის ნაკვეთზე _ 5 ლარი.

აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე/საბანკო გარანტია“ განისაზღვროს 17073 ლარით.

ვალდებულება: საპრივატიზებო თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან 2 წლის ვადაში.

ლოტი 15

მიწის ნაკვეთის მისამართი ქუჩა ქერჩის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.11.05.029.102) სამრეწველო ზონა (ს-1)

გაცემის ფორმა _ აუქციონი პირობებით

განკარგული უფლება _ საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი _ 16922 კვმ

საწყისი ფასი: 1 კვ.მ – 65 ლარი.

მინიმალური ბიჯი 1კვ.მ. მიწის ნაკვეთზე _ 5 ლარი.

აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე/საბანკო გარანტია“ განისაზღვროს 219985 ლარით.

შეზღუდვა: სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დაწვრილებითი დახასიათება

№2015022353425

დასახელება ქარ	ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩაზე, ხიდის მიმდებარედ არსებული 2695.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4 და N5 შენობა-ნაგებობა
მდებარეობა/მისამართი ქარ	ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩა, ხიდის მიმდებარედ
საკადასტრო კოდი	01.11.04.026.095
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ლინკი	www.naprweb.reestri.gov.ge
საკადასტრო რუკა (ლინკი	www.naprweb.reestri.gov.ge
ობიექტის Google კოორდინატები (ლინკი	www.maps.google.com

აუქციონის დეტალები

აუქციონის/ბრძანების ნომერი	299 / 1/1-637
აუქციონის დაწყ/დამთ თარიღი	24.02.2015 - 10.03.2015 17:00
განკარგვის ფორმა/ტიპი	პრივატიზება/ ელექტრონული აუქციონით

ინფორმაცია გამარჯვებულის შესახებ

საიდენტიფიკაციო კოდი	401991387
ორგანიზაციის დასახელება	შპს ლიგა 2014
გაყიდვის ფასი/გადახდილი თანხა	533000/533000 ლარი
თანხის გადახდის ვალდებულება	შესრულებულია

საინვესტიციო/სხვა ვალდებულება

ვალდებულება	არ აქვს

მესამე პირის/საბროკერო აგენტის მიმართ გადასახადი

გადასახადი	არ აქვს

საბანკო რეკვიზიტები

საპრივატიზებო თანხის გადახდა	მიმღები ბანკის დასახელება - სს ,,საქართველოს ბანკი" მიმღები ბანკის SWIFT-ის კოდი BAGAGE22 ანგარიშის ნომერი - GE50BG0000000655067100

შენიშვნა:

გამარჯვებულის მიერ გადახდილი საგარანტიო და "ბე"-ს თანხა ითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მყიდველი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად მიმართოს სსიპ "იუსტიციის სახლის" ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს (ფილიალებს) აუქციონის ჩატარებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1309830

ნომერი: AR1224118

თარიღი : 29.05.2014

გაცემის თარიღი : 05.06.2014

გაცნობის თარიღი : 09.06.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , ხიდის მიმდებარედ , ნაკვეთი 26/ 069 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დიმიტრი ყურაშვილი პ/ნ 20001012362
- თბილისი.შარტავას 35

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1224118 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.04.026.069) არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) ხოლო მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) (იხ. დანართი). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ზონას, მათ შორის კარკასს, სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ხეღობებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს.

მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.04.026.069) ვრცელდება განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არქიტექტურული ობიექტების იერსახეს. ასევე მასზე ვრცელდება საზოგადოებრივ ტერიტორიებზე გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი 2.5 მ–მდე სიმაღლისა და 6 კვ.მ–დე ფართობის მქონე დროებითი შენობა–ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების შეზღუდვა. დამატებთ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი მოქცეულია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ირგვლივ არსებულ 2000 მეტრიან შეზღუდვის ზონაში (იხ. დანართი).

ზემოაღნიშნული ტერიტორია მდებარეობს სატრანსპორტო კვანძის უშუალო სიახლოვეს (გზისპირზე). ასევე ის თავისი კონფიგურაციით წარმოადგენს სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.04.026.069) დამოუკიდებლად სამშენებლოდ განვითრება, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ მოცემული ტერიტორიის მიმდებარედ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამუშავებლად გაიცა #2924 (2007.07.11) ქალაქთმშენებლობითი პირობები, რომლის საფუძველზეც ამავე სამსახურის მიერ #01/194 (05.03.2008) ბრძანებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი განვითარდეს ზემოაღნიშნულ განაშენიანების რეგულირების გეგმასთან ერთად. რისთვისაც საჭიროა განაშენიანების რეგულირების გეგმაში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ.(+995 32) 272 22 22
ფაქს.(+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1364206

ნომერი: AR1232395

თარიღი : 26.06.2014

გაცემის თარიღი : 03.07.2014

გაცნობის თარიღი : 17.07.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , ხიდის მიმდებარედ , ნაკვეთი 26/ 069 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- აპალონ დანელია პ/ნ 62001004668
- სოხუმი ჯგუბურიას ქ. N 80

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1232395 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.04.026.069) არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

არქიტექტურის სამსახურმა AR1224118 განცხადების საფუძველზე იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკასირებით და გასცა შესაბამისი ქალაქგეგმარებით დასკვნა (№1309830 გადატყვეტილება). ვინაიდან არ არის გამოვლენილი ახალი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ აღნისნული დასკვნით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ.|+995 32| 272 22 22
ფაქს.|+995 32| 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge